საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030498262752417

№ 04-81/მ **13** / მარტი / **2017** წ.

ქ. ტ ა ლ ი ნ შ ი მ ი ვ ლ ი ნ ებ ის შ ე ს ა ხ ებ

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2017 წლის 13 მარტის N04/14549 წერილზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობის რეზოლუციის, სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, მ. ბეზარაშვილის 2017 წლის 10 მარტის N04-4729 და2017 წლის 6 მარტის N04-4436 მოხსენებითი ბარათების, საქართველოს ორგანული კანონის – ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე–4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს სააგენტოს დირექტორის მოადგილე - კობა სონღულაშვილი, დასაქმების დეპარტამენტის უფროსი - მარინა ბეზარაშვილი და დასაქმების მაძიებელთა აღრიცხვების სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი - ია ფხაკაძე, ესტონეთში, ქ. ტალინში, 2017 წლის 14 მარტიდან 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით, საქართველოსა და ესტონეთს შორის დროებით შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ვიზიტზე დასწრების მიზნით.

2. სააგენტოს დირექტორის მოადგილის – კობა სონღულაშვილის, მივლინებაში ყოფნის პერიოდში, მისი მოვალეობის შესრულება (შეთავსება) დაევალოს ამავე სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, თენგიზ აბაზაძეს.

3. სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის – მარინა ბეზარაშვილის, მივლინებაში ყოფნის პერიოდში, მისი მოვალეობის შესრულება (შეთავსება) დაევალოს ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ბეჟან ლორთქიფანიძეს.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვიზიტის ყველა ხარჯს, მათ შორის, მგზავრობისა და სამივლინებო თანხებს, ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზაზა სოფრომაძე

დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე